საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფსიქოლოგია

კონცენტრაციებით: კლინიკური ფსიქოლოგია
სოციალური ფსიქოლოგია
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

2023

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 4

პროგრამის აღწერა 5

პროგრამის მიზანი 6

სწავლის შედეგები 7

კონცენტრაციის სწავლის შედეგები 9

I.კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია 9

II სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია 10

III შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაცია 11

IV განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია 12

კომპეტენციების რუკა 13

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 13

სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა 14

კონცეტრაციების სწავლის შედეგები 15

პროგრამის სტრუქტურა 17

სწავლების ორგანიზება 18

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 19

სწავლება-სწავლის მეთოდები 21

შეფასების სისტემა 26

შეფასების კომპონენტები 27

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა 28
პროგრამის დასაქმების სფერო 28
პროგრამის პარტნიორები 30
პარტნიორი ეკონომიკური აგენტები 30
საერთაშორისო პარტნიორები 31
პროგრამის ინტერნაციონალიზაცია 31
საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები 32
პროგრამის რესურსები 33
მატერიალური რესურსი 33

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება:	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური:	პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
სწავლის ხანგრძლივობა:	4 აკადემიური წელი 8 სემესტრი
პროგრამის მოცულობა:	240 კრედიტი / 6000 ასტრონომიული საათი
პროგრამის ხელმძღვანელი:	მადონა კეკელია, პროფესორი

პროგრამის აღწერა

ადამიანის, როგორც ინდივიდისა და საზოგადოების წევრის, პრაქტიკულ აქტივობას, სოციალურ მოვლენათა შესახებ შეხედულებათა სისტემა განსაზღვრავს. ამასთან ერთად, სოციალური პრობლემის სათავეები, მეტწილად, აქტორთა პიროვნული მახასიათებლებითაა დეტერმინირებული. ცხოვრების განვითარების დაჩქარებული ტემპი ართულებს შესაძლებლობას, წამოჭრილი პრობლემების საფუძვლები ინდივიდების დონეზე იქნას გაცნობიერებული. სწორედ აქ იკვეთება სოციუმში ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერებისა და ფსიქოლოგების, როგორც სპეციალისტების, ჩართვისა და გამოყენების აუცილებლობა.

მოცემული პროგრამა წარმოადგენს სათანადო ცოდნით შეიარაღებული, პრაქტიკული სამუშაოსთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციის მქონე კრეატიული სპეციალისტის მომზადების საფუძველს. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლების დაუფლებისა და ფსიქოლოგიის ცალკეულ დარგში ფართო ცოდნის მოპოვების შესაძლებლობას. პროგრამის პირველი ოთხი სემესტრი ეთმობა იმ სავალდებულო და არჩევითი საგნების გავლას, რომლებიც მომავალ ფსიქოლოგს აძლევს დარგის ფუნდამენტური სტანდარტების შესახებ ბაზისურ თეორიულ განათლებას. სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს ფსიქოლოგიის,როგორც მეცნიერების განვითარების ისტორიას, დაეუფლოს სოციალური, განვითარების, პიროვნებისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიებს, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

მომდევნო სემესტრები გათვლილია მიმართულების კონცენტრაციების - კლინიკური, სოციალური, შრომისა და ორგანიზაციის, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის შესწავლისთვის. თავისი არჩევანის შესაბამისად, სტუდენტი ეცნობა ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელ თეორიებს, დიაგნოსტირების მეთოდებს, სოციალური გავლენისა და კონფლიქტის მართვის კანონზომიერებებს, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პრობლემატიკას, განათლებისა და განვითარების საკვანძო საკითხებს. პროგრამის არჩევითი კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს ფსიქოლოგიის მიმართულების სხვადასხვა კურსებიდან შეარჩიოს მისთვის საინტერესო თემატიკა. პროგრამა სრულდება პრაქტიკის გავლითა და საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესრულებით.

პროგრამის მიზანი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ფსიქოლოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენების უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ დინამიურად განვითარებად დარგში პროფესიულ რეალიზებას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს:

I. **მისცეს სტუდენტს ფსიქოლოგიის მეცნიერებისა და მისი დარგების შესახებ თეორიული ცოდნა.** შეასწავლოს ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება, გააცნოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგი, ამ დარგების ცნებითი აპარატი, თეორიები, მეთოდები, თანამედროვე მეცნიერებისთვის აქტუალურ კონტექსტში.

II. **ჩამოუყალიბოს ცოდნა პიროვნების, მისი განვითარების, შემეცნების და სოციალიზაციის პროცესის შესახებ** - მისცეს სტუდენტს რელევანტურ მეცნიერულ ბაზისზე დაფუძნებული ცოდნა ადამიანში მიმდინარე პროცესების, ადამიანის, საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთქმედებების პროცესებზე.

III. **განუვითაროს მოვლენების ფსიქოლოგიური ხედვა,** პროცესების ანალიზის, შეფასების, ინტერპრეტაციისა და კრიტიკულად გააზრების უნარი.

IV. **აღჭურვოს ფსიქოლოგიური კვლევისა და ექსპერიმენტის შესახებ თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით.** სტუდენტები სწავლობენ კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიას, ეუფლებიან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ტექნიკას, განივითარებენ მონაცემთა შეგროვების, სტატისტიკური დამუშავების და წარმოდგენის უნარებს.

V. **გააცნოს ფსიქოლოგიური ქვედარგების სპეციფიკა და ფსიქოლოგიის პრაქტიკული ღირებულება** - დარგში მომუშავე პროფესიონალების პრაქტიკული გამოცდილება სამუშაო გარემოს ფსიქოლოგია, ფსიქოლოგებისა თუ მულტიდისციპლინარულ გუნდში მუშაობის თავისებურებები, ბენეფიციარებთან ურთიერთობის ასპექტები, პროფესიული ეთიკის დამკვიდრებისა და დაცვის მნიშვნელობა.

სწავლის შედეგები

I. აცნობიერებს ადამიანთა ფსიქიკური პროცესების ბუნებას ფიზიკურ და სოციალურ გარემოში აღმოცენებულ ძალებთან ურთიერთკავშირში

II. ერკვევა ფსიქოლოგიის სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა და ემპირიულ კვლევათა საკვანძო პრობლემატიკაში კლასიკური ფსიქოლოგიიდან უახლესი პერიოდის მიმდინარეობების ჩათვლით, არჩევს ფსიქოლოგიის მეცნიერების მეთოდებსა და ამოცანებს.

III. იცნობს უმაღლესი ნერვული სისტემის და მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ერთეულთა მოქმედების თავისებურებებს, ტვინის სისტემური ორგანიზაციის ფუნქციებს, აღწერს ფსიქიკურ პროცესთა ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, ხსნის ფსიქიკურ პროცესთა (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება) ფიზიოლოგიურ მექანიზმებს.

IV. აღწერს პიროვნების განვითარების მახასიათებლებს, განიხილავს ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების გამოვლინების მრავალგვარობას, ფსიქიკური ფუნქციების განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს, მოვლენებს და ხსნის მათ კანონზომიერებებს.

V. აღწერს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს, თავისებურებებს და მათ საფუძველზე ახდენს სოციალური მოვლენებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების შეფასებას, ანალიზს და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირებას. სოციალური ურთიერთქმედების კანონზომიერებათა საფუძველზე ხსნის ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ქცევის მიზეზებს, მოტივებსა და შედეგებს. აკავშირებს სოციალური ურთიერთქმედების კანონზომიერებებს ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ქცევაზე გავლენასთან, განსაზღვრავს სოციალური ურთიერთობების ფორმირების თავისებურებებს, აღწერს სოციალურ ჯგუფებთან მიკუთვნებულობით განპირობებული ქცევისა და მოქმედების კანონზომიერებებს.

VI. აცნობიერებს პიროვნების ქცევას, როგორც გარემოს, ინდივიდუალური განსვავებულობისა და პირადი გამოცდილების პროდუქტს, ახდენს ქცევის სტრუქტურისა და მის საფუძვლადმდებარე პროცესებისა და ფსიქიკური მექანიზმების იდენტიფიცირებას. იცნობს პიროვნების შესახებ თანამედროვე თეორიებს. იცნობს და ურთიერთს ადარებს ადამიანის პიროვნების გაგების ბიო-გენეტიკურ, სოციო და პერსონოლოგიურ მიდგომებს.

VII. იცნობს კოგნიტური ფსიქოლოიის მიდგომას ადამიანის ფსიქიკის შეფასებადი გამოვლინებების აღსაწერად, ადამიანის შემეცნებით პროცესების შესწავლის მეთოდოლოგიას, განასხვავებს ფსიქიკის კოგნიტურ და აფექტურ პროცესებს.

VIII. იცნობს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კლასიკურ მიდგომას ქცევის მიზანშეწონილობის ამხსნელი განწყობის თეორიასთან მიმართებით და შეუძლია პიროვნების განწყობის ტიპების დადგენა და განწყობის ბუნების განსაზღვრა ფიქსირებული განწყობის კლასიკური მეთოდის გამოყენებით.

IX. ირჩევს ემპირიული მონაცემების მოსაპოვებელად ადექვატურ მეთოდებს, ავლენს ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარებისა და შედეგების დამუშავების თეორიულ და პრაქტიკულ უნარებს.

X. ახდენს ინფორმაციის ინტერპრეტირებას რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, სტატისტიკური მნიშნვნელოვნობისა და მიზეზ-შედეგობრიობის გათვალისწინებით, SPSS გამოყენებით გარდაქმნის პირველად მონაცემებს მისთვის საჭირო ცვლადებად, გაიანგარიშებს აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მაჩვენებლებს, აკავშირებს ერთმანეთთან და ადგენს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. მიღებული შედეგების შეფასებით ახდენს დასკვნის გაკეთებას და პროგნოზირებას. აკადემიური სტილის ნორმების დაცვით, უზრუნველყოფს კვლევის შედეგების პრეზენტირებას.

კონცენტრაციის სწავლის შედეგები

I.კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია

I.I

იცნობს მდგრად, დეზადაპტირებად მდგომარეობათა აღმოცენების მექანიზმებსა და კანონზომიერებებს, ერკვევა კლინიკური ფსიქოლოგიის ამოცანებში, ასახელებს ფსიქოკორექციულ ზემოქმედებათა ფორმებს.

I.II

აანალიზებს თავის ტვინის სხვადასხვა სისტემის როლს ადამიანის ქცევაში, ნეიროფსიქოლოგიურ სინდრომებს, რომლებიც ამ ორგანოს კონკრეტული უბნის დაზიანებასთან არის დაკავშირებული.

I.III

იცნობს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების/ტესტების საბაზისო პრინციპებს, ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდოლოგიას,აღწერს ადამიან-პიროვნებას გენერალიზებული ფსიქოლოგიური მოდელის ფარგლებში, არჩევს შესაბამის დიაგნოსტიკურ ცვლადებს და მათ საკვლევ მეთოდებს.

I.IV

აფასებს ფსიქოლოგიური დაწესებულების ბენეფიციართა მდგომარეობის შეფასების, ინტერვენციის შერჩევისა და განხორციელების პროცესში გამოყენებული მიდგომების პრაქტიკულ განხორციელებას, მეთვალყურეობის ქვეშ უზრუნველყოფს პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მხარდაჭერას თერაპიის პროცესში.

II სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია

II.I

განსაზღვრავს სოციალური ურთიერთობების ფორმირების თავისებურებებს, აღწერს ადამიანთა ქცევისა და მოქმედების კანონზომიერებებს, რომლებიც განპირობებულია მათი სოციალურ ჯგუფებთან მიკუთვნებულობით.

II.II

ახასიათებს პიროვნებაათშორისი, პიროვნებისა და ჯგუფის, როგორც ურთიერთობათა სისტემის, ჯგუფთა სოციალური ურთიერთქმედებისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ პროცესებსა და კანონზომიერებებს.

II.III.

განასხვავებს სოციალური გავლენის სახეებს და აღწერს გავლენის ხერხებს;

II.IV

უზრუნველყოფს პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მხარდაჭერას სოციალურ-ფსიქოლოგიური დიაგნოსტირებისა და სოციალური უნარების ტრენინგის პროცესში.

III შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაცია

III.I

აფასებს ორგანიზაციას, როგორც ჯგუფის სტრუქტურას, სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა და ორგანიზაციის შესახებ თეორიულ მოდელთა საფუძველზე. იცნობს ჯგუფის ფორმირების კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, შრომითი ჯგუფების განვითარებასა და დინამიკას.

III.II

უსადაგებს ფსიქოლოგიურ მეთოდიკას ორგანიზაციული ანალიზის, დაგეგმვისა და მართვის, აქტუალურ პრობლემატიკას.

III.III

კონკრეტული ორგანიზაციის თავისებურების დონის, ჯგუფის დინამიკისა და თავისებურებათა გათვალისწინებით ახდენს ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაციას და სახავს განვითარების გზებს.

III.IV

ირჩევს პერსონალის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მეთოდებს.

უსადაგებს ორგანიზაციულ პრობლემათა ანალიზს, დაგეგმვასა და მართვის კანონზომიერებებს აქტუალურ პრობლემაქტიკას.

IV განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია

IV.I.

იცნობს განათლების პროცესების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, როგორც კოგნიტური, ასევე ქცევითი მახასიათებლებით; განსაზღვრავს პიროვნების ინდივიდუალურ მახასიათებლებს ინტელექტსა და კოგნიტურ განვითარებაში, მოტივაციისა და გავლენის, თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის კუთხით; ახდენს ამ ფაქტორთა როლის იდენტიფიცირებას განათლების - როგორც აღზრდისა და სწავლის მიზანმიმართულ, ორგანიზებულ და გაზომვად პროცესში - სხვადასხვა ასაკობრივ და საგანმანათლებლო საფეხურზე.

IV.II.

აანალიზებს განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებსა და დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს.

IV.III.

ერკვევა ანამნეზის შეკრების და ინტერვიუირების პრინციპებში, გეგმავს და მხარს უჭერს ბავშვის ფუნქციური და აკადემიური უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესს.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

	სწავლის შედეგები / **პროგრამის მიზნები**	სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		I.	**II.**	**III.**	**IV.**	**V.**	**VI.**	**VII.**	**VIII.**	**IX.**	**X.**
1.	მისცეს სტუდენტს ფსიქოლოგიის მეცნიერებისა და მისი დარგების შესახებ თეორიული ცოდნა.	√	√								
2.	ჩამოუყალიბოს ცოდნა პიროვნების, მისი განვითარების, შემეცნების და სოციალიზაციის პროცესის შესახებ	√		√	√	√	√	√	√		
3.	განუვითაროს მოვლენების ფსიქოლოგიური ხედვა	√			√	√	√	√			
4.	აღჭურვოს ფსიქოლოგიური კვლევისა და ექსპერიმენტის შესახებ თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით								√	√	√
5.	გააცნოს ფსიქოლოგიური ქვედარგების სპეციფიკა და ფსიქოლოგიის პრაქტიკული ღირებულება			√	√	√	√	√			

სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

	სწავლის შედეგები / ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები ნუმერაციის მიხედვით									
		I.	II.	III.	IV.	V.	VI.	VII.	VIII.	IX.	X.
1.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1,2	√	√								
2.	ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები			√							
3.	ფსიქოლოგიის ისტორია		√								
4.	განვითარების ფსიქოლოგია 1,2				√						
5.	სატატისტიკის მეთოდები ფსიქოლოგიაში										√
6.	სოციალური ფსიქოლოგია 1,2					√					
7.	კოგნიტური ფსიქოლოგია 1,2							√			
8.	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1,2									√	√
9.	SPSS-სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში										√
10.	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია									√	√
11.	პიროვნების ფსიქოლოგია 1,2						√				
12.	განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია								√		
13.	საბაკალავრო ნაშრომი										

კონცეტრაციების სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები / კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები		კონცენტრაციების სწავლის შედეგები ნუმერაციის მიხედვით														
		კლინიკური ფსიქოლოგია				**სოციალური ფსიქოლოგია**				**შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია**				**განათლების და განვით ფსიქოლოგია**		
		I.I	I.II	I.III	I.IV	II.I	II.II	II.III	II.IV	III.I	III.II	III.III	III.IV			
1.	კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	√														
2.	ნეიროფსიქოლოგია		√													
3.	ფსიქოდიაგნოსტიკა			√												
4.	პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში				√											
5.	ქცევის და მოტივაციის ფსიქოლოგია						√									
6.	ურთიერთობის ფსიქოლოგია					√										
7.	სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა							√								
8.	პრაქტიკა სოცილურ ფსიქოლოგიაში								√							
9.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია									√		√				
10.	მართვის ფსიქოლოგია										√					
11.	პერსონალის ფსიქოლოგიური შეფასება და შერჩევა											√	√			
12.	პრაქტიკა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში												√			
13.	განათლების ფსიქოლოგია													√		
14.	სკოლამდელი ასაკის ფსიქოლოგია													√		

15.	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები														√	√
16.	პრაქტიკა განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიაში															√

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირებას სასწავლო, პრაქტიკული და მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას სპეციალობის, კონცენტრაციისა და თავისუფალი კრედიტების ბლოკებში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტებით.

ბლოკი	ბლოკის აღწერა	ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	ემსახურება ფსიქოლოგიის საკვანძო სასწავლო დისციპლინების შესწავლას, ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიისა და ძირითადი ფსიქოლოგიური თეორიების გაცნობას.	108
კონცენტრაციის არჩევით/სავალდებულო სასწავლო კურსები	სტუდენტი თავის აკადემიური პროფილის ფორმირებას ახდენს სასურველი დარგობრივი კონცენტრაციის (სოციალური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია) არჩევით. კონცენტრაციის ფარგლებში გათვალისწინებულია დარგობრივი პროფესიული პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი არჩეული მიმართულებით.	30
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	სპეციალობის არჩევითი კრედიტების დაგროვება ხდება შეთავაზებული ჩამონათვალიდან სასწავლო კურსების სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად არჩევით.	30
თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები	ბლოკი ემსახურება სტუდენტის ზოგადი კომპეტენციის ფორმირებას, აკადემიური კომუნიკაციის საფუძვლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გამომუშავებას.	12
თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტი ვალდებულია გაიაროს უცხო ენის (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული/ რუსული/ ესპანური) ბლოკი 30 კრედიტის ოდენობით, არანაკლებ დარგობრივი უცხო ენის ჩათვლით, ენობრივი დონის სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით. დაბალი ენობრივი კომპეტენციის დონის მქონე ან დარგობრივი ენის გაღრმავებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის დასაშვებია დამატებითი კრედიტების ათვისება ენის კომპონენტში თავისუფალი არჩევითი კრედიტების ხარჯზე უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად.	30
თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები	სტუდენტს შეუძლია არჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.	30

სწავლების ორგანიზება

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტი) და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 6000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

აკადემიური წელი შედგება ორი - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. თითოეული სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 (ECTS) კრედიტი (1500 საათი). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) მეშვეობით იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ სახელსა და პაროლს. მას შეუძლია აკადემიური რეგისტრაცია გაიროს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე და აქვს აკადემიური თავისუფლება, აკადემიური რეგისტრაციის დროს დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებზე მისი საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით, წინასწარ იქონიოს ინფორმაცია სამომავლოდ გასავლელ სასწავლო კურსებზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაეცნოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ჩარიცხვის პირობები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში.

ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას

მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.

- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ევრისტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

საბაკალავრო ნაშრომი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ

გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისინებით.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 60 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.
შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ სწავლების მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტებში ფსიქოლოგიის, სოციალურ მეცნიერებების მომიჯნავე დარგებით ან სხვა სპეციალობით იმის გათვალისწინებით, თუ რას წარმოადგენს ბაკალავრის შემდგომი განათლების მიღების მიზანი - ცოდნის გარღმავება თავისი სპეციალობით, თუ სპეციალობის შეცვლა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის მზადება და მიღების წინაპირობას ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოადგენს.

პროგრამის დასაქმების სფერო

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე დარგებში პრაქტიკულ საქმიანობაში. კურსდამთავრებულის კომპეტენცია საშუალებას აძლევს მას იმუშაოს ნებისმიერ ორგანიზაციაში, სადაც მნიშვნელოვანია ე. წ. ,,ადამიანური ფაქტორის" გათვალისწინება და ადამიანის რესურსების განვითარება. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში, ტრენინგ-ცენტრებში, კვლევით ორგანიზაციებში, სასჯელაღსრულების სისტემაში, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო და ფსიქოკონსულტირების ცენტრებში. კურსდამთავრებულის დასაქმების სავარაუდო პროფილი - მცირე ორგანიზაციაში - ფსიქოლოგად, ხოლო საშუალო და დიდი ზომის ორგანიზაციებში - ფსიქოლოგის ასისტენტად, ტრენინგის ფასილიტატორად, მონაცემთა ანალიტიკოსად, ან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტად, არჩეული ქვედარგის შესაბამისად.

ნებისმიერ პროფილის ფსიქოლოგიური დახმარების დაწესებულებაში კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ასისტენტ ფსიქოლოგად დასაქმების ადგილას მომუშავე პროფესიონალი ფსიქოლოგის ხელმძღვანელობით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების პოზიციები

- კვლევა/კვლევითი ჯგუფი (მკვლევარის ასისტენტი, მკვლევარი, მონაცემთა ანალიტიკოსი);

კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით

- სამედიცინო ორგანიზაცია (ფსიქოლოგის ასისტენტი, ასისტენტი)
- თერაპიული ცენტრი (ფსიქოთერაპევტის ასისტენტი, ფსიქოლოგი)
- სოციალური ცენტრი (ფსიქოლოგი, ჯგუფის ლიდერი)
- ფსიქოკონსულტირების ცენტრი (ფსიქოლოგის ასისტენტი)
- სასჯელარსრულების დაწესებულება (ფსიქოლოგის ასისტენტი)

სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

- ტრენინგ ცენტრი (ტრენერის ასისტენტი, ფასილიტატორი)
- სასჯელარსრულების ორგანიზაცია (ფსიქოლოგის ასისტენტი)

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით

- ადამიანური რესურსების მართვა (უმცროსი სპეციალისტი)
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი (სპეციალისტი)
- ტრენინგ ორგანიზაცია (ტრენერის/ქოუჩის ასისტენტი, ტრენინგის ფასილიტატორი)

განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის მიმართულებით

- სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულება (ფსიქოლოგი, ფსიქოლოგის ასისტენტი, მშობელთა კონსულტანტი)
- სსს აღსაზრდელთა დაწესებულება (მულტიდარგობრივი ჯგუფის წევრი)
- ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულება (ფსიქოლოგის ასისტენტი)
- სახელმწიფო დაწესებულება (უმცროსი სპეციალისტი, ფსიქოლოგი)

პროგრამის პარტნიორები

პარტნიორი ეკონომიკური აგენტები

- შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი;
- შპს სტრესის მართვის და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი;
- ა(ა)იპ კამარა;
- ა(ა)იპ 170-ე საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოძრაობა დავითიანნი;
- ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი;
- ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ;
- ა(ა)იპ ,,განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“)
- შპს ჰედვაისი;.
- შპს ლოგომედი - მეტყველების განვითარების და კორექციის ცენტრი;
- შპს ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერია
- შპს სოციალური კომუნიკაციისა და რეაბილიტაციის ცენტრი "ოქტაგონი"
- სსიპ ზურაბ იარაჯულის სახელობის ქ. თბილისის N106 საჯარო სკოლა

საერთაშორისო პარნიორები

- RISEBA UNIVERSITY (REPUBLIC OF LATVIA)
- KLAIPEDA UNIVERSITY (REPUBLIC OF LIETUVA)
- UNIVERSITY OF GDANSK (REPUBLIC OF POLAND)
- UNIVERSITY OF LATVIA (REPUBLIC OF LATVIA)
- SHARDA UNIVERSITY (REPUBLIC OF INDIA)

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია დარგის საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობაზე და პროგრამის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთ დასაქმების/სწავლის გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვაზე გამოიხატება შემდეგით:

უცხო ენაზე პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება

პროგრამის ფარგლებში სავალდებულოდ გათვალისწინებულია სტუდენტის არჩევით უცხოურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება, არანაკლებ დამოუკიდებელი პროფესიული კომუნიკაციის (B2+) დონეზე.

არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო კურსის დონისა და სწავლების სემესტრის შესაბამისად.

არჩევითი სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.

<u>პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა</u>

პროგრამის III და IV სასწავლო წლის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა, დამატებითი გადასახადის გარეშე, აქედან სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს - უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

გაცვლითი პროგრამა რისებას უნივერსიტეტის (ლატვია) ფსიქოლოგიის მიმართულებაზე

გაცვლითი პროგრამა კლაიპედას უნივერსიტეტის (ლიეტუვა) ფსიქოლოგიის პროგრამაზე

გაცვლითი პროგრამა გდანსკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

გაცვლითი პროგრამა ლატვიის უნივერსიტეტის (ლატვია) პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლის პრაქტიკული შედეგების მიღწევისათვის საჭირო თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ლაბორატორატორიები ასევე ფსიქოლოგიური ცენტრი სადაც სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული უნარების შეძენისა და დახვეწის შესაძლებლობა. ლაბორატორიული აღჭურვილობა უზრუნველყოფს მცირე მასშტაბის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს ფსიქოკონსულტირების ცენტრი.

უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსი უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფით (საოფისე პაკეტები, SPSS პროგრამული პაკეტი, ანატომიური 3-განზომილებიანი მოდელები და სხვ).

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

N	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ სათები	დაშვების წინაპირობა	აკადემიური დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება							
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული ან ლაბორატორიული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუსაობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები																		
	სავალდებულო სასწავლო კურსები	**108**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა**								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
											18	**18**	**24**	**18**	**12**	**6**	**6**	**6**
1.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	**6**	**150**	არ აქვს	13	24	2	3	42	108	**6**							
2.	ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები	**6**	**150**	არ აქვს	13	24	2	3	42	108	**6**							
3.	ფსიქოლოგიის ისტორია	**6**	**150**	არ აქვს	13	24	2	3	42	108	**6**							
4.	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	**6**	**150**	ფსიქ. საფ. 1	13	24	2	3	42	108		**6**						
5.	განვითარების ფსიქოლოგია 1	**6**	**150**	ფსიქ. საფ. 1	13	24	2	3	42	108		**6**						
6.	სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში	**6**	**150**	არ აქვს	13	24	2	3	42	108		**6**						
7.	სოციალური ფსიქოლოგია 1	**6**	**150**	ფსიქ. საფ. 2	13	24	2	3	42	108			**6**					
8.	განვითარების ფსიქოლოგია 2	**6**	**150**	განვ. ფსიქ. 1	13	24	2	3	42	108			**6**					
9.	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	**6**	**150**	ფსიქ. საფ. 2	13	24	2	3	42	108			**6**					
10.	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	**6**	**150**	სტატ. მეთ. ფსიქ.	13	24	2	3	42	108			**6**					
11.	სოციალური ფსიქოლოგია 2	**6**	**150**	სოც. ფსიქ.1	13	24	2	3	42	108				**6**				

12.	კოგნიტური ფსიქოლოგია 2	6	150	კოგნ. ფსიქ. 1	13	24	2	3	42	108				6				
13.	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	6	150	კვლ. მეთ. ფსიქ. 1	13	24	2	3	42	108				6				
14.	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	6	150	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	13	24	2	3	42	108					6			
15.	პიროვნების ფსიქოლოგია 1	6	150	სოციალური ფსიქოლოგია 2	13	24	2	3	42	108					6			
16.	პიროვნების ფსიქოლოგია 2	6	150	პირ. ფსიქ.1	13	24	2	3	42	108						6		
17.	სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS	6	150	თან.საფ.პრ სტატ.მეთ. ფსიქ.	13	24	2	3	42	108							6	
18.	განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია	6	150	ფსიქ.საფ.2	13	24	2	3	42	108								6
	კონცენტრაციის სასწავლო კურსები	**30**	**სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ კონცენტრაციას**								**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
	კონცენტრაცია: კლინიკური ფსიქოლოგია	**30**													**6**	**6**	**6**	**12**
19.	კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	150	ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები	13	24	2	3	42	108					6			
20.	ნეიროფსიქოლოგია	6	150	ქცევის ბიოლ. საფუძ.	13	24	2	3	42	108						6		
21.	ფსიქოდიაგნოსტიკა	6	150	ფსიქ.საფ.2	13	24	2	3	42	108							6	
22.	პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში	6	150	ფსიქოდიაგნოსტიკა	**სტუდენტი პრაქტიკულ კომპონენტს ასრულებს პრაქტიკის ინსტრუქციისა და დღიურის შესაბამისად**													6
23.	საბაკალავრო ნაშრომი კლინიკურ ფსიქოლოგიაში	6	150	კლინ. ფს. საფ. კვლ. მეთ. ფს 2 SPSS	**სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად**													6
	კონცენტრაცია:	**30**													**6**	**6**	**6**	**12**

	სოციალური ფსიქოლოგია																	
24.	ქცევის და მოტივაციის ფსიქოლოგია	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108					**6**			
25.	ურთიერთობის ფსიქოლოგია	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108						**6**		
26.	სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108							**6**	
27.	პრაქტიკა სოცილურ ფსიქოლოგიაში	**6**	**150**	ქც. და მოტივ. ფსიქ	**სტუდენტი პრაქტიკულ კომპონენტს ასრულებს პრაქტიკის ინსტრუქციისა და დღიურის შესაბამისად**													**6**
28.	საბაკალავრო ნაშრომი სოციალურ ფსიქოლოგიაში	**6**	**150**	სოც. ფსიქ. გავლენა კვლ. მეთ. ფს 2 SPSS	**სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად**													**6**
	კონცენტრაცია: შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	**30**													**6**	**6**	**6**	**12**
29.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108					**6**			
30.	მართვის ფსიქოლოგია	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108						**6**		
31.	პერსონალის ფსიქოლოგიური შეფასება და შერჩევა	**6**	**150**	შრომის და ორგან. ფსიქოლოგია	13	24	2	3	42	108							**6**	
32.	პრაქტიკა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში	**6**	**150**	პერს. ფს. შეფ.და შერჩ	**სტუდენტი პრაქტიკულ კომპონენტს ასრულებს პრაქტიკის ინსტრუქციისა და დღიურის შესაბამისად**													**6**
33.	საბაკალავრო ნაშრომი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში	**6**	**150**	შრომ. და ორგ. ფს. კვლ. მეთ.2 SPSS	**სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად**													**6**
	კონცენტრაცია: განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია	**30**													**6**	**6**	**6**	**12**

34.	განათლების ფსიქოლოგია	6	150	განვ. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108					6			
35.	სკოლამდელი ასაკის ფსიქოლოგია	6	150	განვ. ფსიქ. 1	13	24	2	3	42	108						6		
36.	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	6	150	განვ. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108							6	
37.	პრაქტიკა განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიაში	6	150	ბავშ. ფსიქ. განვ. დარღ.; სკოლ. ასაკ. ფსიქ; განათ. ფსიქ.	სტუდენტი პრაქტიკულ კომპონენტს ასრულებს პრაქტიკის ინსტრუქციისა და დღიურის შესაბამისად													6
38.	საბაკალავრო ნაშრომი განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიაში	6	150	განათლ. ფსიქ. კვლ. მეთ. ფს 2 SPSS	სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად													6
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	**30**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
															6	**8**	**10**	**6**
1.	ზოგადი ბიოლოგია/გენეტიკა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120								
2.	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120								
3.	XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები	5	125	ფსიქ. ისტ.	13	12	2	3	30	95								
4.	ფსიქოთერაპიის საფუძვლები	5	125	პირ. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	95								
5.	ფსიქოლოგიური კონსულტირება	5	125	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	95								
6.	ემოციის ფსიქოლოგია	4	100	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
7.	ქცევის გამოყენებითი ანალიზი	4	100	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	13	12	2	3	30	70								
8.	პათოფსიქოლოგიის საფუძვლები	6	150	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	120								

9.	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
10.	ფსიქოსექსოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
11.	გერონტოფსიქოლოგია	**4**	**100**	პირ. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	70								
12.	ფსიქოფიზიოლოგია	**6**	**150**	ქცევის ბიოლ. საფუძვ.	13	12	2	3	30	120								
13.	ფსიქოანალიზის საფუძვლები	**5**	**125**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	95								
14.	არტთერაპია	**5**	**125**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	95								
15.	კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია	**4**	**100**	პირ. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	70								
16.	ფსიქოდრამა, ჯგუფური მუშაობის პრინციპები	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
17.	გეშტალტთერაპიის საფუძვლები	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
18.	ეთნოფსიქოლოგია	**5**	**125**	სოც. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	95								
19.	ფსიქოლოგიურ კრიზისთან გამკლავების სტრატეგიები	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
20.	განწყობის ანტროპული ფსიქოლოგია	**5**	**125**	განწყ. კლას. ფსიქ.	13	12	2	3	30	95								
21.	კონფლიქტის ანალიზი და გადაწყვეტა	**5**	**125**	სოც. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	95								
22.	სოციალიზაცია და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
23.	ეკონომიკური ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
24.	კომუნიკაცია და მოტივაცია	**5**	**125**	ურთიერთობის ფსიქოლოგია	13	12	2	3	30	95								
25.	რელიგიის ფსიქოლოგია	**4**	**100**	სოციალური ფსიქოლოგია 2	13	12	2	3	30	70								

26.	სოციალური სამუშაოს თეორია და პრაქტიკა	**5**	**125**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	95								
27.	პოლიტიკური ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
28.	ფსიქოლოგიური ტრენინგის პრაქტიკული კურსი	**6**	**150**	სოც. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	120								
29.	მასობრივი კომუნიკაციის ფსიქოლოგია	**4**	**100**	სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა	13	12	2	3	30	70								
30.	ერგონომიკა	**5**	**125**	სოც. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	83								
31.	იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
32.	რეკლამის ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
33.	ხელოვნების ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
34.	სპორტის ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
35.	მომხმარებლის ფსიქოლოგია	**4**	**100**	სოციალური ფსიქოლოგია 2	13	12	2	3	30	70								
36.	სამხედრო ფსიქოლოგია	**4**	**100**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	70								
37.	ინკლუზიური განათლება	**4**	**100**	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	13	12	2	3	30	70								
38.	ბავშვის ფსიქო-პედაგოგიურ-სოციალური დიაგნოსტირება	**6**	**150**	განვ. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	108								
39.	ლოგოპედია	**5**	**125**	განვ. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	83								
40.	სურდოლოგოპედია	**5**	**125**	განვ. ფსიქ. 2	13	24	2	3	42	83								
41.	მოტივაციური ინტერვიურების საფუძვლები	**5**	**125**	ფსიქ.საფ.2	13	12	2	3	30	95								
42.	პრევენციული ფსიქოლოგია და პედაგოგიკა	**5**	**125**	განვ. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	95								

43.	არტთერაპია სკოლამდელ ასაკში (ხატვათერაპია, ზღაპართერაპია, ქვიშათერაპია, თამაშთერაპია)	**5**	**125**	განვ. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	95								
44.	შესავალი ფსიქოტრამვატოლოგიაში	**5**	**125**	ფსიქ. საფ. 2	13	12	2	3	30	95								
45.	ფსიქოსომატიკა	**5**	**125**	კლინ.ფსიქ. საფ	13	12	2	3	30	95								
46.	ფსიქიატრიის საფუძვლები	**5**	**125**	კლინ.ფსიქ. საფ	13	24	2	3	42	83								
47.	ტრენინგი და განვითარება	4	100	სოც. ფსიქ. 2	13	12	2	3	30	70								
48.	კარიერული განვითარების თანამედროვე მეთოდები	4	100	წინაპირობის გარეშე	13	12	2	3	30	70								
49.	Applied Social Psychology	6	150	სოც. ფსიქ. 2 დარგობრივი ინგლის. ენა	13	24	2	3	42	83								
50.	ვიქტიმოლოგია ფსიქოლოგიურ კონტექსტში	5	125	ფსიქ.საფ.2	13	12	2	3	30	95								
51.	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით	5	125	განვითარების ფსიქოლოგია 1	13	12	2	3	30	95								
52.	პოზიტიური ფსიქოლოგია სოციალურ კონტექსტში	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120								
53.	ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები	5	125	არ აქვს	13	12	1	2	28	97								
54.	შრომის უსაფრთხოება	2	50	არ აქვს	13	12	1	2	28	22								
55.	გარემოს ფსიქოლოგია და დიზაინი	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95								

56.	პროფესიული ეთიკის ნორმები ფსიქოლოგიაში	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95								
თავისუფალი კომპონენტები																		
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	**12**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
											6	**6**						
1	აკადემიური წერა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	2	3	30	120	**6**							
2	თანამედროვე საოფისე პროგრამები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	2	3	30	120		**6**						
	სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	**30**	**სტუდენტის არჩეულ უცხო ენაში სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტები**								**6**	**6**	**6**	**6**	**6**			
3	უცხო ენა B1/1	**6**	**150**	არ აქვს	-	39	2	5	46	104	**6**							
4	უცხო ენა B1/2	**6**	**150**	უცხო ენა B1/1	-	39	2	5	46	104		**6**						
5	უცხო ენა B2/1	**6**	**150**	უცხო ენა B1/2	-	39	2	5	46	104			**6**					
6	უცხო ენა B2/2	**6**	**150**	უცხო ენა B2/1	-	39	2	5	46	104				**6**				
7	დარგობრივი უცხო ენა ფსიქოლოგებისათვის	**6**	**150**	უცხო ენა B2/2	-	39	2	5	46	104					**6**			
	საუნივერიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები	**30**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი თავისუფალი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**	**VII**	**VIII**
	თავისუფალი სასწავლო კურსები	**30**	სტუდენტს შეუძლია არჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.											**6**		**10**	**8**	**6**
	სულ	**240**									**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**